ოქმი:**ო05.37220251**

თარიღი:**25/01/2022**

ოქმი № 4

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

2022 წელი, 21 იანვარი

ქ.ოზურგეთი

14.00-15.00 საათი

თავმჯდომარეობდა: პაატა კიღურაძე - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე.
ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: ვ. ნიჟარაძე, მ. ჩხიკვიშვილი, ქ. ვასაძე, ე. გორდელაძე, ხ. ცერცვაძე, გ. მდინარაძე, ნ. ნადირაშვილი, ნ. გოლიაძე, პ.სალუქვაძე.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი:

მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: პ. კიღურაძე

სხდომის თავმჯდომარემ პ. კიღურაძემ ისაუბრა აუდიტორული ანგარიშის შესახებ, აღნიშნა, რომ იგი მოიცავს 2014-2019 წლებს, გააცნო მისი ძირითადი შინაარსი, ნაკლოვანებები და შენიშვნები, რომლებიც მოცემულია ანგარიშში-ესაა ერთი და იმავე სახის ა(ა).ი.პ-ების შექმნა სპორტის , კულტურისა და ინფრასტრუქტურის სფეროებში, მათ მიერ წარმოდგენილ წლიურ ანგარიშებზე, და სხვა. შემდეგ გააცნო რეკომენდაციები და წინადადებები, რომლებიც ანგარიშშია წარმოდგენილი ა(ა).ი.პ-ების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლების მიზნით. კომისიის წევრებმა სხდომის თავმჯდომარის პ.კიღურაძის წინადადებით ანგარიში მიიღეს ცნობად და მხარი დაუჭირეს მისი საკრებულოს სხდომაზე განსახილველად წარდგენას ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და მუნიციპალიტეტების მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-ების მიერ გაწეული მუშაობის აუდიტორული ანგარიში მიიღებულ იქნას ცნობად და წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განხილვის მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი